




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე



ნ. ს. გოცირიძე
ნ. ს. გოცირიძე გეურქა ზ.
ანტონოვის "მზის
დაბნელება
საქართველოში".

გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე (16. II. 1872, თბილისი, - 30. VII. 1949, იქვე), მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1924). ეს წოდება მიენიჭა ერთ-ერთ პირველს ვ. აბაშიძისა და ვ. სარაჯიშვილის შემდეგ. 1893-1921 მუშაობდა მღებავად რკინიგზის დეპოში (თბილისი), იმავდროულად

მოღვაწეობდა ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ - თბილ. სახალხო სახლში. 1921 მიიწვიეს შოთა რუსთაველის სახ. თეატრში, 1930 - კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში. გ. იყო

ქართ. თეატრის თვალსაჩინო მოღვაწე. გამოირჩეოდა დიდი კომედიური ნიჭით, სცენური მომხიბვლევლობით. განსაკუთრებით გაითქვა სახელი ვაჭარ-ხელოსანთა ტიპების განსახიერებით. მნიშვნელოვანი როლები: აკოფა, მამუთიანი (ა. ცაგარლის „ხანუმა“, „ციმბირელი“), გეურქა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), არშაკი (ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“), გიქო, გიჟმობე (გ. სუნდუკიანის „პეპო“, „დაქცეული ოჯახი“), ოსიპი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), კოსტილევი (მ. გორკის „ფსკერზე“), პოლონიუსი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), ჟურდენი, ორგონი (მოლიერის „გააზნაურებული

მდაბიო", „ტარტიუფი“) და სხვ. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თბზ.: მოგონებანი, თბ., 1949.

ლიტ.: ბუხნიკაშვილი გ., ნიკო გოცირიძე, თბ., 1972; გრიშაშვილი ი., ნიკო გოცირიძე, ტფ., 1934.

გ. ბუხნიკაშვილი
